პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 7 22 0000260163

15/03/2022

ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟის" „ელექტროობის", „სატყეო საქმის", კომპიუტერული ქსელი და სისტემების", „თმის მომსახურების", „მხატვრული ქსოვის", „კულინარიის ხელოვნების", „კონდიტერიის" და სასტუმრო მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟის" (ს/კ:231287005)„ელექტროობის", „სატყეო საქმის", „კომპიუტერული ქსელი და სისტემების", „თმის მომსახურების", „მხატვრული ქსოვის", „კულინარიის ხელოვნე-ბის", „კონდიტერიის" და „სასტუმრო მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 5 მარტი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 მარტის №258868 ოქმის მეორე საკითხი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა